საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე
არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი
ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი პ. დ. /სიითი №/
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.10.2018
საჩივრის რეგისტრაციის №143/18
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ზ.-ის მიმართ /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ზ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა პ. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ზ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის 3 ოქტომბერს გაზეთ „ბ.”-ს მიერ სოციალურ ქსელში განთავსდა სტატია „უნდა მივიდეს თუ არა პროკურორი ადვოკატთან - მოსამართლის განმარტება“. აღნიშნულ სტატიაში ეწერა ადვოკატ პ. დ.-ის, როგორც ს. ა. ი. ა.-ს იურისტის შეფასება, რომლის თანახმად კანონი უნდა განიმარტოს მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და მტკიცებულებათა გაცვლის, როგორც საპროცესო მოქმედების ადგილი უნდა გადაწყდეს

მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, კერძოდ ადვოკატმა განაცხადა: ,,სრულიად შესაძლებელია, რომ მტკიცებულებები გაიცვალოს არა პროკურატურაში, არამედ საადვოკატო ბიუროში.“

1.3 ადვოკატი პ. დ. აღნიშნავს, რომ გაზეთი ,,ბ.“ ფუნქციონირებს ელექტრონული სახითაც, რომელსაც სოციალურ ქსელში 38 076 მომხმარებელი ადევნებს თვალს. სოციალურ ქსელში განთავსებულ სტატიაზე კოლეგის მისამართით ადვოკატმა ი. ზ.-მ გააკეთა შეურაცხმყოფელი კომენტარი: „პ. დ., ტოჯე მნე ავტორიტეტ. პროკურატურასთან მიკერძოებული ნასედკაა“, რითაც პ. დ.-ის შეფასებით, ადვოკატმა დაარღვია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი (ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი (ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგას, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები).

1.4 2019 წლის 6 ივნისს გამართულ განხილვის სხდომაზე, გამოცხადდა საჩივრის ავტორი. მას არ დაუყენებია რაიმე სახის შუამდგომლობა, არც აცილების მოთხოვნა ჰქონია კოლეგიის წევრების მიმართ. იგი ადასტურებს, რომ მისი საჩივარი უკავშირდება გაზეთ ბათუმელებში გამოქვეყნებულ სტატიას, რომელზეც კომენტარი დაწერა ადვოკატმა ი. ზ.-მ. მან განაცხადა, რომ ადვოკატი ი. ზ.-ის კომენტარზე აქვს პრეტენზია და შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნაა, ადვოკატის მიმართ აღიძრას დისციპლინური დევნა და დაეკისროს შესაბამისი სახდელი. იგი ამბობს, რომ ი. ზ.-ის მიერ დაწერილი კომენტარი იყო მისთვის შეურაცხმყოფელი და არ შეიცავდა არგუმენტებს. პ. დ.-ის თქმით, ი. ზ.-ს ჰქონდა შესაძლებლობა, ემტკიცებინა, კომენტარი მისი დაწერილი იყო თუ არა, თუმცა, საჩივრის ავტორის განცხადებით, ი. ზ.-მ გამოიჩინა უპატივცემულობა და ეთიკის კომისიის სხდომასაც კი არ დაესწრო.

1.5 ადვოკატი პ. დ. განხილვის სხდომაზე ხაზს უსვამს, რომ მოწინააღმდეგე მხარესთან, ადვოკატ ი. ზ.-სთან არ ჰქონია კომუნიკაცია მორიგების თაობაზე. ადვოკატი პ. დ. ადასტურებს, რომ იგი მანამდეც იცნობდა ადვოკატ ი. ზ.-ს საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე. ორივე სისხლის სამართლის მიმართულებით მუშაობენ და ადვოკატი საჩივრის ავტორის ოფისშიც (ს. ა. ი. ა.-ში) ყოფილა რამდენიმეჯერ. მათ რაიმე ტიპის უსიამოვნება არ ჰქონიათ მანამდე. ისინი სოციალურ ქსელშიც „მეგობრები“ იყვნენ, მაგრამ კომენტარის დაწერის შემდეგ საჩივრის ავტორმა აღმოაჩინა, რომ ადვოკატმა ი. ზ.-მ მეგობრებიდან წაშალა პ. დ.. მანამდე მათ ერთმანეთთან მიმოწერა არ ჰქონიათ სოციალურ ქსელში. საჩივრის ავტორის მტკიცებით, მხოლოდ ერთი დოკუმენტი, ვორდის ფაილი აქვს გაგზავნილი მოწინააღმდეგე მხარესთან.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ეთიკის კომისიის აპარატი ადვოკატ ი. ზ.-ს 2018 წლის 10 ოქტომბერს ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ ნომერზე დაუკავშირდა და აცნობა პ. დ.-ის საჩივრის შესახებ. ადვოკატის განმარტებით, საჩივარს საფოსტო გზავნილით მისამართზე: ქ. --- ჩაიბარებდა. ადვოკატს 10 ოქტომბერს გაეგზავნა საჩივარი მითითებულ მისამართზე, თუმცა არავინ დახვდა კურიერს მისამართზე, გზავნილი ფოსტაში დაყოვნდა, მაგრამ ადრესატმა არ ჩაიბარა გზავნილი. ეთიკის კომისიის აპარატის იურისტი 25 ოქტომბერს დაუკავშირდა ადვოკატს და აცნობა, რომ გაგზავნილი საჩივარი არ ჩაბარდა და თუ შეეძლო ალტერნატიული მისამართი მიეწოდებინა. ადვოკატის

განმარტებით, მისამართი სწორი იყო და იგივე მისამართზე ბარდებოდა სხვა გზავნილები. ამასთან განმარტა, რომ ხშირად ურეკავდნენ პ. დ.-ის საჩივარზე და ალბათ ეთიკის კომისიას სხვა საქმე არ ჰქონდა. 25 ოქტომბერს ადვოკატს გაეგზავნა საჩივარი მითითებულ მისამართზე, თუმცა კვლავ არავინ დახვდა კურიერს მისამართზე, გზავნილი ფოსტაში დაყოვნდა, მაგრამ ადრესატმა არ ჩაიბარა გზავნილი. ადვოკატს დასკანერებული საჩივარი გაეგზავნა ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ ელ. ფოსტაზე: ---, მაგრამ წერილი უკან მობრუნდა მეილის გაუქმების გამო.

2.2 ეთიკის კომისიამ ადვოკატ ი. ზ.-სთან 2018 წლის 10 დეკემბერს 16:15 სთ-ზე ჩანიშნა საპროცესო კოლეგიის სხდომა, რაც ადვოკატს ეცნობა ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ ნომერზე: 5******** მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ასევე ეცნობა ეთიკის კომისიის სკაიპის მისამართი და განემარტა, რომ იმ შემთხვევაში თუ ვერ შეძლებდა სხდომაზე მოსვლას, შეეძლო სხდომაში სკაიპის მეშვეობით მიეღო მონაწილეობა. ადვოკატი საპროცესო კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადდა და არც სკაიპის მეშვეობით დაუკავშირდა კოლეგიას.

2.3 ადვოკატს ჩაბარდა შეტყობინება 2019 წლის 6 ივნისს განხილვის დისტანციური სხდომის თაობაზე, ადვოკატი არ გამოცხადდა სხდომაზე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 2018 წლის 10 დეკემბერს მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი. ზ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 მეხუთე საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ი. ზ.-მ გაზეთ „ბ.“-ს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ განთავსებულ/გაზიარებულ სტატიაზე კოლეგის - პ. დ.-ის მისამართით ადვოკატმა ი. ზ.-მ გააკეთა კომენტარი: „პ. დ., ტოჯე მნე ავტორიტეტ. პროკურატურასთან მიკერძოებული ნასედკაა“, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი და ამავე კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორი ადვოკატისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

4.1.1 2018 წლის 3 ოქტომბერს გაზეთ „ბ.“-ს მიერ სოციალურ ქსელში განთავსდა სტატია „უნდა მივიდეს თუ არა პროკურორი ადვოკატთან - მოსამართლის განმარტება“. აღნიშნულ სტატიაში ეწერა ადვოკატ პ. დ.-ის, როგორც ს. ა. ი. ა.-ს იურისტის შეფასება, რომლის თანახმად კანონი უნდა განიმარტოს მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და მტკიცებულებათა გაცვლის, როგორც საპროცესო მოქმედების ადგილი უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმების შესაბამისად. კერძოდ, ადვოკატმა განაცხადა: ,,სრულიად შესაძლებელია, რომ მტკიცებულებები გაიცვალოს არა პროკურატურაში, არამედ საადვოკატო ბიუროში.“

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2018 წლის 3 ოქტომბერს გაზეთ „ბ.-ის" მიერ სოციალურ ქსელში განთავსებული სტატია სათაურით - „უნდა მივიდეს თუ არა პროკურორი ადვოკატთან - მოსამართლის განმარტება", https://---

4.1.2 გაზეთ „ბ."-ს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" განთავსებულ/გაზიარებულ სტატიაზე კოლეგის - პ. დ.-ის მისამართით ადვოკატმა ი. ზ.-მ გააკეთა კომენტარი: „პ. დ., ტოჯე მნე ავტორიტეტ. პროკურატურასთან მიკერძოებული ნასედკაა".

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

სოციალური ქსელის ამონაბეჭდი, სადაც აღბეჭდილია გაზეთ „ბ.-ის" სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" განთავსებულ სტატიაზე ი. ზ.-ის კომენტარი - „პ. დ., ტოჯე მნე ავტორიტეტ. პროკურატურასთან მიკერძოებული ნასედკაა".

ადვოკატ ი. ზ.-ის სოციალური ქსელის გვერდის ამონაბეჭდი

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. ზ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ზ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას".

6.2 ეთიკის კომისია, პირველ რიგში, ყურადღებას გაამახვილებს ადვოკატ ი. ზ.-ის მიერ სადაოდ ქცეული კომენტარის დაფიქსირების ადგილზე/სივრცეზე (სოციალური ქსელი) და შესაბამისად, სოციალურ ქსელში ადვოკატზე ეთიკის კოდექსის გავრცელების თაობაზე, მიუთითებს ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე და სრულად გაიზიარებს საპროცესო კოლეგიის სამართლებრივ შეფასებას აღნიშნულ საკითხზე.

6.3 სოციალურ ქსელში ადვოკატზე ეთიკის კოდექსის გავრცელების თაობაზე ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით - „ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე", ხოლო ადვოკატთა ეთიკის კოდექსის შესავალ ნაწილში მითითებულია - „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის

მოპოვებისთვის“. შესაბამისად, ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მიზანია ნდობის წარმოშობა არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის, არამედ მთლიანად ადვოკატთა კორპუსის მიმართ, რაც განისაზღვრება არა მხოლოდ ადვოკატის ქცევით კონკრეტული პროფესიული დავალების განხორციელებისას, არამედ მისი ქცევით ყოველდღიურად კლიენტებთან, კოლეგებთან, საქმის მწარმოებელ ორგანოებთან თუ პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობაში, ვინაიდან ადვოკატისთვის მისი პროფესია არის ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი და თანამდევი ნაწილი (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე №143/18).

6.4 ეთიკის კომისიამ ჯერ კიდევ 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაადგინა პრაქტიკა, გაავრცელა რა ეთიკის კოდექსის ფარგლები ადვოკატის ქცევაზე სოციალურ ქსელში, როდესაც ადვოკატმა გააზიარა ინტერნეტ გამოცემა, სადაც მის კოლეგას გამოთქმული ჰქონდა სამართლებრივ საკითხზე მოსაზრება და შეურაცხმყოფელი კომენტარით მოიხსენია კოლეგა (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №034/14). საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2015 წლის 6 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე №დს-შ/5-15 ადვოკატთა ეთიკის კოდექსი გაავრცელა ადვოკატზე მიუხედავად იმისა, რომ სადავო ქცევა საადვოკატო საქმიანობას არ უკავშირდებოდა. სასამართლომ განმარტა: „ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში… კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“.

6.5 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ ი. ზ.-ის მიერ პ. დ.-ის შესახებ კომენტარის სახით გამოთქმული მოსაზრება ექცევა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების ფარგლებში, რადგან 1. ი. ზ. წარმოადგენს ადვოკატს, 2. ისევე როგორც კომენტარის ადრესატი - პ. დ., და 3. კომენტარის სახით განხორციელდა პ. დ.-ის შეფასება მის პიროვნულ მახასიათებელსა და პროფესიულ საქმიანობაზე. აღსანიშნავია, რომ სოციალური ქსელის გვერდს, სადაც გაკეთდა ზემოაღნიშნული კომენტარი, ჰყავს 38.000-ზე მეტი გამომწერი, ასევე გასათვალისწინებელია სოციალური ქსელის მომხმარებელთა, მათ შორის გვერდის არაგამომწერი პირების თავისუფალი წვდომა გაზიარებულ სტატიებსა და კომენტარებზე. შესაბამისად, მოცემული კომენტარის ნახვა შესაძლებელია ფართო აუდიტორიის მიერ. რამდენადაც ადვოკატის მიერ სამართლებრივ საკითხზე გამოთქმული მოსაზრების ან მასთან დაკავშირებული ფაქტების გადმოცემის საფუძველზე საზოგადოება იქმნის წარმოდგენას ადვოკატთა კორპუსის შესახებ, შესაბამისად აღნიშნული ქმედებით ადვოკატი ი. ზ. საზოგადოებას უარყოფით წარმოდგენას უქმნის ადვოკატ პ. დ.-ის პიროვნების შესახებ და გარდა ამისა, იყენებს შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, რაც როგორც მართლმსაჯულების სისტემის წარმომდგენლისთვის, შეუფერებელია და ზიანს აყენებს ადვოკატის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდას. შესაბამისად,

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის ქმედებაზე უნდა გავრცელდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი.

6.6 კოლეგია ადვოკატის მიმართ არსებულ პროფესიულ ვალდებულებებზე, გამოხატვის თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ფარგლებზე მსჯელობისას ეყრდნობა ევროსასამართლოს და ეთიკის კომისიის პრაქტიკას, ეთანხმება საპროცესო კოლეგიის მიერ მოცემულ საკითხზე განვითარებულ სამართლებრივ მსჯელობას და აღნიშნავს, რომ ადვოკატს აქვს განსაკუთრებული ვალდებულებები კოლეგების მიმართ, მათ შორის არ შელახოს კოლეგის პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, არ მიმართოს არასათანადო რეკლამას და დაიცვას კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებული სხვა პროფესიული ვალდებულებები. თუ კოლეგის ღირსების შელახვის აკრძალვა ნეგატიურია, პატივისცემის ვალდებულება პოზიტიურია, რაც დამატებით ვალდებულებებს აკისრებს ადვოკატს, კერძოდ, კოლეგებთან კომუნიკაციაში და მოქმედებებში, უნდა ჩანდეს ურთიერთპატივისცემა, ხოლო ნებისმიერი საპროცესო დაპირისპირება, თუნდაც კოლეგის პოზიციის მკაცრი კრიტიკა არ უნდა შეეხოს ისეთ საკითხებს, რომლებიც ადვოკატის პროფესიისადმი პატივისცემას ეჭვქვეშ დააყენებს ან შელახავს კოლეგის ღირსებას. პატივისცემის ვალდებულებაში პიროვნული დამოკიდებულება მეორეხარისხოვანია და ის გამომდინარეობს ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის დაცვის და გამყარების აუცილებლობიდან, რაც საბოლოოდ მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს უკავშირდება. კოლეგებისადმი გამოხატული თავაზიანობა და პატივისცემა არის ცივილიზებული იურიდიული პროფესიის ნიშანი, რაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას, საზოგადოებაში მაღალი ნდობის მოპოვებას და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას. (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმეზე №098/18). შესაბამისად, ადვოკატს მოეთხოვება, როგორც კანონით დადგენილი მოქმედებების გათვალისწინება და განხორციელება, ასევე მორალურ-ზნეობრივი ქცევის სტანდარტის დაცვა, რაც უზრუნველყოფს ადვოკატთა შორის კოლეგიალური დამოკიდებულების გაძლიერებას, მათ შორის თანასწორი და თანამშრომლური გარემოს შექმნას (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმეზე №098/18).

6.7 ამასთან ადვოკატის კოლეგიალობის დაცვის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში ადვოკატის სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან, ასევე იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლეგიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

6.8 საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი ადგენს სიტყვის თავისუფლების მნიშვნელოვან დანაწესს და უთითებს, რომ „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო(1); ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია(2); მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება(3); ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და

ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება“(4). ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს ზემოაღნიშნულ უფლებათა შეზღუდვის ფარგლებს და უთითებს, რომ „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

6.9 ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან .....ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“

6.10 ეთიკის კომისია ასევე მიუთითებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონზე. აღნიშნული კანონის 1-ელი მუხლის “ბ“ პუნქტის მიხედვით, „აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“, ხოლო „ე“ პუნქტის მიხედვით, „ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“. ამავე კანონის 4.1 მუხლის მიხედვით „აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით“. შესაბამისად, საკითხის შეფასებისას არსებითი მნიშვნელობის მქონეა დადგინეს, პირის მიერ გამოითქვა მოსაზრება, თუ გაკეთდა ფაქტების შემცველი განცხადება.

6.11 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა განხორციელდეს გამონათქვამის შეფასებით - მისი შინაარსის, ფორმისა და კონტექსტის გათვალისწინებით. ხოლო, როდესაც ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის მისამართით წარმოთქმული სიტყვები ლახავს ადვოკატის როგორც პიროვნულ, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას, აღნიშნული წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2015 წლის 25 დეკემბერის გადაწყვეტილება საქმეზე №037/13).

6.12 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.s. and zv Zwitzerland აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

6.13 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ ი. ზ.-ის მიერ დაფიქსირებული კომენტარი შეიცავს, ერთი მხრივ, შეფასებით მსჯელობას, რომელიც ასახავს ადვოკატ პ. დ.-ის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას („პ. დ., ტოჯე მნე ავტორიტეტ“), ხოლო, მეორე მხრივ, ის ამავდროულად შეიცავს დადასტურებად ან

უარყოფად ფაქტს („პროკურატურასთან მიკერძოებული ნასედკაა“). რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში საქმე გვაქვს კომენტართან, რომელიც არ არის მხოლოდ შეფასებითი მსჯელობის ბუნების მატარებელი, შესაბამისად მასზე არ გავრცელდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის 4.1 მუხლი და აღნიშნული კომენტარი ვერ ისარგებლებს დაცვის აბსოლუტური პრივილეგიით.

6.14 გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატ ი. ზ.-ის კომენტარი არის შეურაცხმყოფელი ხასიათის, კომენტარში გამოყენებული სიტყვები მიზნად ისახავს ადვოკატ პ. დ.-ის არა მხოლოდ პიროვნული, არამედ ასევე პროფესიული თვისებების დამცირებას და შესაბამისად, საზოგადოებაში მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატის პროფესიულის საქმიანობა დიდწილადაა დამოკიდებული საზოგადოების მის მიმართ ნდობაზე, არსებულ და სამომავლო კლიენტებისთვის ადვოკატზე მსგავსი შინაარსის და, თანაც დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლოა, დიდი ზიანი მიაყენოს მის საქმიანობას.

6.15 შესაბამისად, რადგანაც დასტურდება, რომ ადვოკატმა ი. ზ.-მ კოლეგა პ. დ. მოიხსენია ისეთი ფორმით, რაც ლახავს ადვოკატის როგორც პირად, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას, სახეზეა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლისა და ამავე კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა.

6.16 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

6.17 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №098/17) და რაც „სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №დს-შ/3-17).

6.18 ეთიკის კომისია მიუთითებს კომისიის დადგენილ პრაქტიკაზე და აღნიშნავს, რომ „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №098/17).

6.19 ეთიკის კომისია ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატ ი. ზ.-ს ჰქონდა საშუალება დაკავშირებოდა კოლეგას და გამოესწორებინა მის მიერ შექმნილი არაკოლეგიალური დამოკიდებულება, რაც ადვოკატს არ უცდია. ასევე ითვალისწინებს, რომ მას დისციპლინური წარმოების პროცესში მიეცა შესაძლებლობა, დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრებები ეთიკის კომისიაში, დაეცვა საკუთარი ინტერესები, თუმცა ის თავს არიდებდა კომისიასთან ურთიერთობას, ასევე განახორციელა მიუღებელი შინაარსის სატელეფონო კომუნიკაცია, მაშინ როდესაც ეთიკის კომისია მაქსიმალურად ცდილობდა სათანადოდ დაიცა მას, როგორც მხარეს, უფლებები დისციპლინური წარმოების დროს. რაც მთავარია, ეთიკის კომისია ითვალისწინებს ადვოკატის არაეთიკური ქმედების (კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა) ხასიათს და ადვოკატის პროფესიისადმი მიყენებულ ზიანს. ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით და დადგინა, რომ ადვოკატ ი. ზ.-ის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის პროპორციულ და სამართლიან პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

6.20 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მე-20, 35-ე მუხლებით და მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. ადვოკატ ი. ზ.-ს /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ადვოკატ ი. ზ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ ზუბალაშვილების ქ. №11) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/